პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №6 საჯარო სკოლისათვის“ გალაკტიონ ტაბიძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შ ე ს ა ხ ე ბ

„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის №239 დადგენილების მე-7 მუხლის, „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანების დანართის 4[1] მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №6 საჯარო სკოლის“ პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 28 მარტის №2 ოქმისა და ამავე სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 8 აპრილის №3 ოქმის საფუძველზე:

მუხლი 1. გაიცეს თანხმობა საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №6 საჯარო სკოლისათვის“ დიდი ქართველი პოეტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გალაკტიონ ტაბიძის სახელის მინიჭების თაობაზე.

მუხლი 2. წინამდებარე განკარგულება გაეგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „ქალაქ ქუთაისის N6 საჯარო სკოლის“ სამეურვეო საბჭოს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა № 11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ერემეიშვილი

განმარტებითი ბარათი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №6 საჯარო სკოლისათვის“ გალაკტიონ ტაბიძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

1. განკარგულების პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

სსიპ ქალაქ ქუთაისის N6 საჯარო სკოლა კანონიერი მემკვიდრეა იმ სასწავლებლისა სადაც უდიდესი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე სწავლობდა. სკოლას 80-იან წლებში მიენიჭა პოეტის სახელი, რომელიც სკოლის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბების შემდეგ გალაკტიონ ტაბიძის სახელი აღარ ეწოდებოდა. N6 სკოლისათვის დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის სახელის მინიჭება დამატებით მოტივაციას შეუქმნის სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობას და მთელ სასკოლო საზოგადოებას სწავლების მაღალი დონის მისაღწევად.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებულმა გამოჩენილ პირთა პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედმა კომისიამ 2026 წლის 10 მარტის სხდომაზე იმსჯელა და მიიღო რეკომენდაცია ქუთაისის N6 საჯარო სკოლისათვის დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის პირველი ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის, ,,საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №6 საჯარო სკოლის“ პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 28 მარტის №2 ოქმისა და ამავე სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 8 აპრილის №3 ოქმის საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ქალაქ ქუთაისის N40 საჯარო სკოლისათვის“ დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის სახელის მინიჭების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია აღნიშნულის შესახებ იმსჯელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ.

განკარგულების პროექტის მიღებით თანხმობა გაიცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ქალაქ ქუთაისის N6 საჯარო სკოლისათვის“ დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის სახელის მინიჭების თაობაზე.

2. განკარგულების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

პროექტის მიღება არ არის დაკავშირებული ფინანსურ ხარჯებთან.

3. განკარგულების პროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ:

განკარგულების პროექტის შემუშავებაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად მონაწილეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული გამოჩენილ პირთა პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედი კომისია.

4. განკარგულების პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი - დავით ერემეიშვილი.

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განკარგულების პროექტის წარმომდგენი პირი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული გამოჩენილ პირთა პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედი კომისიის მდივანი გენადი კუჭუხიძე.

დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ოქმი N2

ქუთაისის მერიის პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედი კომისიის 2026 წლის 10 მარტის N2 სხდომის

დღის წესრიგი:

1. ქალაქ ქუთაისის N6 საჯარო სკოლისათვის ქართველი საზოგადო მოღვაწისა და პოეტის გალაკტიონ ტაბიძის სახელის მინიჭებისს თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

/მომხსენებელი: გ. კუჭუხიძე/

აზრი გამოთქვეს: თ. ღვინიანიძემ; ა. ნიკოლეიშვილმა;

მ. კვიცარიძემ; მ. კეზევაძემ; გ. კოპალიანმა;

თ. ამყოლაძემ

დადგინდეს:

1. მოწონებულ იქნას N6 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს წარდგინება ქ. ქუთაისის მე-6 საჯარო სკოლისათვის გალაკტიონ ტაბიძის სახელის მინიჭების შესახებ.

2. კომისიის მიერ მიღებული რეკომენდაცია გაგზავნილ იქნა ქალაქ ქუთაისის საკრებულოში შესაბამისის განკარგულების მისაღებად.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის 16 წევრმა. თანხმობის მიცემის რეკომენდაციას მხარი დაუჭირა კომისიის 16-ვე წევრმა.

პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედი კომისიის მდივანი: **/გ. კუჭუხიძე/**